თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2021 წლის 29 აპრილი

დაბა თიანეთი

„თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის ხელშეწყობის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის ხელშეწყობის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ნოემბრის №19 დადგენილებაში (ვებგვერდი, 25/11/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.154.016431 შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

პროგრამის დაფინანსება ხდება თიანეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან და მისი მოცულობა განისაზღვრება 165730 ლარით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თიანეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით მგელიაშვილი**